

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ ბესიკ ტაბიძეს


ბატონო ბესიკ,

გიგზავნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი-დეპუტატის ზურაბ კუკულავას მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 21 ივნისს.

დანართი: მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი № 8-4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

ია მოქია



პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
საორგანიზაციო განყოფილება

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი N8

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: სუფსის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 21.06.2018 წელი, 12:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ კუკულავა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში დავით გუმბარიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) ია მოქია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში) მაია კუპატაძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე ეკა გუჯაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნინო მშვიდლობაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ, მუნიციპალიტეტის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა და სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ზურაბ კუკულავამ ადგილობრივ მოსახლეობას მიმართეს თხოვნით, მიეწოდებინათ ინფორმაცია პრობლემების შესახებ.

სუფსის ადმინისტრაციული ერთეულის მწვავე პრობლემას წარმოადგენს **საბავშვო ბაღის არქონა**. პრობლემა არაერთხელ დაისვა როგორც წერილობითი ფორმით, ასევე საკრებულოს სხდომაზე.

მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა განმარტა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტი ჩასმულია 2019 წელს.

მოქალაქე გუგული ბლაგიძემ, ადგილობრივ ხელისუფლებას მიაწოდა ინფორმაცია საკუთარი პრობლემის შესახებ, კერძო საკუთრების წინ, უნაგირაზე, ესართიების უბანში, სანიაღვრე არხის გაწმენდაა საჭირო, წვიმიანობის დროს იტბორება მთელი ეზო და ნათესები. არხის გაღება და გვირაბის გაწმენდა ვერ ხერხდება სამეზობლო დავის გამო.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ ადგილზე დაათვალიერა პრობლემა. მუნიციპალიტეტის მერმა შეძლებისდაგვარად დახმარება აღუთქვა მოქალაქეს და განმარტა, რომ არხის გაწმენდა პრობლემას არ წარმოადგენს, აქ მთავარია სამეზობლო დავის მოგვარება, რადგან კერძო საკუთრებაში ჩარევა გაუმართლებელია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ.

ასევე მოქალაქემ აღნიშნა, რომ სოფელ უნაგირაზე არის წყლის დიდი პრობლემა.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა, ლევან ჩხაიძემ განმარტა, რომ სოფელ უნაგირაზე წყლის პრობლემის მოგვარებაზე ზრუნვა უკვე დაწყებულია და უახლოეს მომავალში აღარ შეექმნება მოსახლეობას მსგავსი პრობლემა.

მოქალაქე ჟუჟუნა შავაძემ აღნიშნა, რომ არის სოციალურად დაუცველი, აქვს დაახლოებით 1000 სარეიტინგო ქულა, არის მრავალშვილიანი, სოციალური დახმარების პროგრამაში არის ჩასმული, მეოთხე შვილის შეძენის შემდეგ (2 წლამდე ბავშვს ეკუთვნის 150 ლარის ოდენობით დახმარება) მიმართა სოციალურ სააგენტოს. თუმცა სანამ მოხდებოდა საბუთების მოწესრიგება, დაახლოებით 7 თვის დახმარება არ აუნაზღაურდა. მოქალაქე ითხოვს დანაკლისი თანხის მიღებას.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ პრობლემის თაობაზე შესაბამის უწყებასთან ჰქონდა საუბარი, სადაც აღნიშნეს, რომ დანარჩენი დედამიწვილების დოკუმენტაცია არ იყო მოწესრიგებული, როცა მოქალაქემ შეძლო მისი მოწესრიგება, მას შემდეგ დაიწყო დახმარების გაცემა.

გარდა ამისა, მოქალაქე ჟუჟუნა შავაძე არის უსახლკარო. მერმა შესთავაზა ქირავნობის პროგრამაში ჩასმა.

მოქალაქე ამირან კუპატაძემ ადგილობრივ ხელისუფლებას გააცნო თავისი პრობლემა, კერძოდ ახალსოფელში, ძველ მეორე ბრიგადასთან არ არის საყანე ფართობებთან მისასვლელი გზა ავტობანის გამო, საჭიროა ხიდის გაკეთება, სადაც გაივლის ტექნიკა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ ადგილზე დაათვალიერა პრობლემა და გამოარკვია რომ არსებობს მეორადი დიდი მილხიდი, რომლის ამოღების შემთხვევაში, გამოიყენება ხიდის გასაკეთებლად და გაივლის ტექნიკა. პრობლემა მარტივად მოგვარებადია, რაც მოსახლეობასთან შეთანხმებით გადაიჭრება.

გიორგი ჭაჭიამ ადგილობრივ ხელისუფლებას გააცნო უნაგირაზე სტადიონის პრობლემა, საჭიროა მინდორის მოწესრიგება, შესაბამისი ხის მასალით გაკეთებული დაზიანებული ღობის შეკეთება და ბადეები.

საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის მერმა დაათვალიერეს სტადიონი და აღნიშნეს რომ უახლოეს მომავალში მოხდება პრობლემის მოგვარება.

მოქალაქე მარინა სარიშვილმა აღნიშნა, რომ არის მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი. ცხოვრობს რკინიგზის ბინებში, ე.წ ზდანიებში, ფართის გაფორმებაზე აქვს პრობლემა..

მუნიციპალიტეტის მერმა, ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მან მიმართა საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და თქვეს უარი. რამოდენიმე წლის წინ იყო პროგრამა, რომლითაც სიმბოლურ ფასად გადაეცათ ფართები მცხოვრებლებს, პროგრამა დასრულებულია და მომართვის შემთხვევაში უნდა გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი. მერმა აღნიშნა, რომ მოქალაქეების განცხადების საფუძველზე, კიდევ ერთხელ მიმართავს სამინისტროს შესაბამისი, დასაბუთებული წერილით.

მოქალაქე გურამ ჩხარტიშვილი დაინტერესებულია კენკროვან ხე-მცენარეებზე დანერგილი პროგრამებით, აქვს მოძიებული 5 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, აღნიშნული პროგრამის მეშვეობით დასაქმდება დაახლოებით 9 ადგილობრივი. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლების მხრიდან დახმარება ესაჭიროება შეღობვაში და აღნიშნული პროგრამის საფუძვლიანად შესწავლის მხრივ.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ის მიესალმება კერძო სექტორის გაძლიერებას და მაქსიმალურად დაუდგება მხარში.

გრიგოლეთის მაცხოვრებელმა ემზარ გურგენაძემ, ადგილობრივ ხელისუფლებას მიაწოდა ინფორმაცია გრიგოლეთის წინაშე მდგარ პრობლემებზე, ეს არის ტრანსპორტის ხაზი, ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა, რომელიც წლების წინ ფუნქციონირებდა, მოსახლეობას სურს ხაზის აღდგენა.

მან ასევე აღნიშნა, რომ პლაჟზე არის პირუტყვის პრობლემა, რაც შეეხება მთავარ მაგისტრალს, მოსახლეობის მოთხოვნით პირუტყვის გადასარეკად დანიშნულია ორი მწყემსი.

ასევე, გრიგოლეთის სასაფლაოზე მოსაჭრელია ალვის ხე, რომელიც ხმობადია და აზიანებს ახლოს მდგარ სახლს.

გარდა ამისა, მოსახლეობა ითხოვს სიჩქარის შემაკავებელი ბარიერების გაკეთებას გრიგოლეთის მაგისტრალზე.

ადგილობრივმა ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოქალაქეს შეძლებისდაგვარად პრობლემების გადაჭრაში დახმარება აღუთქვეს.

მოქალაქე მარინა ჭანტურიამ აღნიშნა, რომ მის კერძო საკუთრებასთან ახლოს, დაახლოებით 15 კმ მანძილის დაშორებით მიმდინარეობს ავტობანის მშენებლობა, კერძოდ ექსპროპრიაციის დროს მოქალაქე არ დაეთანხმა შემოთავაზებულ საფასურს, ვინაიდან ის არ იყო ობიექტური და სრული ანაზღაურება, მიწის ნაკვეთი სხვადასხვა სახეობის და დასავლეთ ტერიტორიაზე გამორჩეული ძვირადღირებული ხე-მცენარეებით სავსეა. სახლის გვერდით, ძალიან ახლოს უნდა აშენდეს ავტობანის გადასასვლელი ხიდი. მანქანების გამონაბოლქვი გაანადგურებს მრავალწლიან ნათესებს და გამოუსადეგარი იქნება, გარდა ამისა, ხიდის მშენებლობა აზიანებს სახლსაც. ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ადგილზე მოხდა ობიექტის დათვალიერება.

მუნიციპალიტეტის მერმა და საკრებულოს თავმჯდომარემ მოინახულეს სუფსის კულტურის სახლი. ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ დირექტორმა დავით წერეთელმა აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში კულტურის სახლის სცენა მოწესრიგდება, მოხდება ახალი ფარდით აღჭურვა, ადგილობრივი ძალებით, 2019 წლისთვის შესაძლებელია განხორციელდეს ჭერის გამაგრება და იატაკის შეკეთება.

მაჟორიტარი დეპუტატმა, ზურაბ კუკულავამ განმარტა, რომ უნაგირაზე, ესართიების უბანში, მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ბარამიძეების ოჯახს აქვთ სახლი ავარიულ მდგომარეობაში, გასამაგრებელია კედელი.

მოქალაქე დავით ქათამაძემ ადგილობრივ ხელისუფლებას აცნობა, ე.წ ტუნგოს ფარდულთან არსებულ ოჯახების აქვთ სარწყავი არხის პრობლემა, უნდა მოხდეს არხის გაყვანა, მაგრამ ორი მეზობელი არის წინააღმდეგი, სხვა ალტერნატიული გზა არ არსებობს.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ზურაბ კუკულავამ მოქალაქეს დახმარება აღუთქვა. იგი უშუალოდ შეხვდება მოდავე მხარეებს და შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფენ პრობლემის გადაჭრას.

სოფელ ახალსოფელში მცხოვრებმა, აიგული მამეიშვილმა აღნიშნა, რომ ავტობანის გამო გაკეთებულ გვირაბში საჭიროა ხრეშის დაყრა, რადგან უამინდობის დროს წყლით ივსება და მოსახლეობას არ აქვს საყანე ფართობთან მისასვლელი გზა.

საკრებულოს თავმჯდომარემ პრობლემა მოისმინა და შეძლებისდაგვარად დახმარება აღუთქვა.

ამით მოსახლეობასთან შეხვედრა დასრულდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში

მაჟორიტარი დეპუტატი:

ზ. კუკულავა

ზურაბ კუკულავა